ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ეკონომიკური ნაწილის (DCFTA) შესრულების შეფასება (2014 - 2015) - საჯარო შესყიდვები

პოლიტიკის დოკუმენტი

თორნიკე ზურაბაშვილი

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
აპრილი, 2016 | თბილისი

კვლევის შესახებ

კვლევა განხორციელდა თორნიკე ზურაბაშვილის მიერ, საქართველოს რეფორმების ასოციაციაში (GRASS), ფონდ ღია საზოგადოების კვლევითი ცენტრების ახალგაზრდა პროფესიონალების განვითარების პროგრამის (Think Tank Young Professional Development Program) ფარგლებში. კვლევის პროცესი 2015 წლის ნოემბერიდან 2016 წლის აპრილამდე მიმდინარეობდა.

ორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს რეფორმების ასოციაცია – GRASS“ არის მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს საქართველოს საგარეო, უსაფრთხოების, საჯარო პოლიტიკის, საჯარო ადმინისტრირების სფეროს კვლევასა და მის სიღრმისეულ ანალიზს.

მიცკევიჩის ქუჩა 27, თბილისი, საქართველო, 0194,
ტელ: +995322222913
www.grass.org.ge
grass@grassgroup.org

შესავალი

საჯარო შესყიდვები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) 2014 - 2017 წლებისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

საჯარო შესყიდვებს, ასოცირების შესახებ შეთანხმების IV კარში (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) ცალკე თავი ეთმობა (მე-8 თავი). შეთანხმების ეს თავი ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე როგორც ტრადიციული სექტორის, ასევე კომუნალური მომსახურების სექტორის საჯარო ხელშეკრულებებისა და კონცესიებისათვის ეროვნული რეჟიმის პრინციპის საფუძველზე საჯარო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს, რაც ქართულ კომპანიებს ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს.[1] აღსანიშნავია, რომ შეთანხმება ვრცელდება მხოლოდ იმ საჯარო შესყიდვებზე, რომელთა ღირებულება აღემატება შეთანხმებით გათვალისწინებულ მონეტარულ ზღვრებს.

შესყიდვების ბაზრის გახსნა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ეტაპობრივ დაახლოებასთანაა დაკავშირებული. ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის გახსნა საქართველოს კომპანიებისათვის მოხდება ეტაპობრივად, ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან 8 წელიწადის განმავლობაში.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელების ვალდებულება აიღო. ამ რეფორმათა წარმატებით განხორციელება, არა მხოლოდ ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების წარმატებულად შესრულების მხრივაა მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად საჯარო ინსტიტუტების უკეთ საქმიანობისათვის.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ამაღლების მხრივ. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს 2009-2010 წლების რეფორმის პროცესი, რომლის შედეგად შესყიდვების სისტემა მთლიანად ელექტრონულ პლატფორმაზე გადავიდა. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური საკითხებისა, რომელიც დახვეწას საჭიროებს.

ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოება, სახელმწიფო შესყიდვების სისტემას კიდევ უფრო გამჭვირვალესა და კონკურენტულს გახდის. ევროკავშირის რეგულაციებთან ეტაპობრივი დაახლოების გზაზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მიღწეული პროგრესის

[1] ასოცირების შესახებ შეთანხმება. ხელმისაწვდომია მისამართზე http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA_BodyText%20%2810%29.pdf

მუდმივი მონიტორინგი და ამ პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა.

აღნიშნული დოკუმენტი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მისი ამოცანაა შეაფასოს ასოცირების შეთანხმებით საჯარო შესყიდვების სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება 2014 და 2015 წლების განმავლობაში და ამით, ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ევროპული ინტეგრაციის საკითხზე დიალოგის გაღრმავებას და გაუმჯობესებას. ავტორი იმედოვნებს, რომ აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს DCFTA-ს შემდგომი წლების სამოქმედო გეგმების ტექნიკურ და შინაარსობრივ დახვეწას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ანგარიში სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მხოლოდ ასოცირების შესახებ ხელშეკრულების და შესაბამისი დღის წესრიგის თვალსაზრისით განიხილავს და იგი არ იძლევა სისტემაში არსებული მდგომარეობის სრულფასოვან შეფასებას.

ანგარიშის შემდეგ თავში, წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია. მომდევნო თავში, ასოცირების დღის წესრიგზე და 2014-2017 წლებისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმებზეა საუბარი. კერძოდ, აღნიშნულ ნაწილში შეფასებულია როგორც სამოქმედო გეგმების საერთო ხარისხი, ისე დაგეგმილ ღონისძიებათა შესაბამისობა ასოცირების დღის წესრიგის მიზნებთან. შემდგომ თავში, დაწვრილებით არის მიმოხილული სამოქმედო გეგმების შესრულების კუთხით არსებული ვითარება (2016 წლის აპრილის მდგომარეობით). ანგარიშის ბოლოს, ანალიზზე დაყრდნობით, შემოთავაზებულია სამოქმედო გეგმების ღონისძიებათა და მათი განხორციელების გაუმჯობესების კონკრეტული რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულია სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია. კვლევის მასალა სამაგიდე კვლევისა და საჯარო უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვის მეშვეობით შეგროვდა. საწყის ეტაპზე, მოხდა საკვლევ თემაზე არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშების, კანონმდებლობის, ბიუჯეტის და მოქმედი პროგრამების მოძიება და ანალიზი. კვლევის შემდეგ ეტაპზე, გამოთხოვილ იქნა ოფიციალური მასალებიც.

კვლევა შემდეგ დოკუმენტებს დაეფუძნა: ასოცირების შესახებ შეთანხმება; ასოცირების დღის წესრიგი; DCFTA-ს განხორციელების 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმა; DCFTA-ს განხორციელების 2015 წლის დეტალური სამოქმედო გეგმა; DCFTA-ს განხორციელების 2014 წლის და 2015 წლის შესრულების ანგარიშები; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2014 წლისა და 2015 წლის საქმიანობის ანგარიშები.

შეფასების პროცესისას ყურადღება თანაბრად გამახვილდა, როგორც სამოქმედო გეგმაში დასახულ პრიორიტეტთა განხორციელების მიზნით გაწეულ კონკრეტულ ღონისძიებათა

აღნუსხვაზე, ისე მიღწეულ შედეგებზე, ანუ იმაზე თუ რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმებში დასახული ამოცანები.

სამოქმედო გეგმები

ასოცირების დღის წესრიგი

2014 წლის 26 ივნისს, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების პროცესისთვის მომზადებისა და მისი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირმა და საქართველომ ასოცირების დღის წესრიგი მიიღეს. ასოცირების დღის წესრიგი, ასოცირების შესახებ შეთანხმებას ეფუძნება და თავს უყრის 2014 - 2016 წლებში ერთობლივი მუშაობისთვის განსაზღვრულ პრიორიტეტთა ნუსხას. დოკუმენტი წარმოადგენს იმ პრაქტიკულ ჩარჩოს, რომლის საშუალებითაც, ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ამოცანების განხორციელება ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ დღის წესრიგში ყურადღება გამახვილებულია პრიორიტეტების მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობაზე და ის სრულად არ ფარავს ასოცირების შესახებ შეთანხმების ყველა ვალდებულებას. მთლიანი დოკუმენტის მსგავსად, საჯარო შესყიდვების სფეროც საკმაოდ მწირად არის წარმოდგენილი; ასოცირების დღის წესრიგი, საჯარო შესყიდვების მიმართულებით მხოლოდ ერთი პარაგრაფით შემოიფარგლება, რაც იმითაა განპირობებული, რომ დოკუმენტი სამწლიან ვადაზეა გათვლილი, ხოლო თავად საჯარო შესყიდვების სფეროში შეთანხმებით აღებული ვალდებულებები - გაცილებით უფრო დიდ, რვაწლიან პერიოდზე.

დღის წესრიგში აღნიშნულია, რომ ხელმომწერი მხარეები ითანამშრომლებენ საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების შესყიდვების თავისა და შესაბამისი რეფორმების განხორციელებისთვის მომზადების პროცესში.[2] მოსამზადებელი სამუშაოები ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის მომზადების დაწყებას მოიცავს, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების საჯარო შესყიდვების თავის შესაბამისად უნდა შემუშავდეს და უზრუნველყოფდეს ზუსტ და დროულ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობის განვითარებაზე, განსაკუთრებით შესყიდვების პოლიტიკისა და განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილ საკანონმდებლო სამუშაოზე.[3]

საქართველოს სამოქმედო გეგმა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისათვის (2014 – 2017 წწ.)

DCFTA-ის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, 2014 წლის 28 ივლისს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიამ დაამტკიცა DCFTA-ის განხორციელების 2014 - 2017

[2] ასოცირების დღის წესრიგი. არაოფიციალური თარგმანი. ხელმისაწვდომია მისამართზე http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf

[3] იგივე.

წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემულია ამ მიმართულებით განსახორციელებელი რეფორმები და ღონისძიებები.

სამოქმედო გეგმა საჯარო შესყიდვების სფეროს სამ პრიოტიტეტს მოიცავს. ესენია: ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების დაწყება; თანმიმდევრული დაახლოების დაწყება; დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება.

საკანონმდებლო დაახლოების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების დაწყება, თავის მხრივ, ორ ღონისძიებას მოიცავს. ესენია:

- ევროკომისიასთან მოლაპარაკებების განახლება, ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ შევიდა. მათ შორის საკანონმდებლო დაახლოების თითოეული ეტაპისათვის გათვალისწინებული საორიენტაციო ვადების გადახედვა (2014 - 2015);
- საკანონმდებლო დაახლოების იმპლემენტაციის ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასოცირების შესახებ შეთანხმების XVI-B დანართის თანახმად (2015).[4]

თანმიმდევრული დაახლოების დაწყება, ასოცირების შესახებ შეთანხმების 144-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულების დადების ძირითად სტანდარტებთან საკანონმდებლო დაახლოებას გულისხმობს (2016).[5]

რაც შეეხება დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერებას, აქ სამი ღონისძიებაა გათვალისწინებული:

- სახელმწიფო ორგანოებში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მომუშავე პირთა ტრენინგები საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში (2014 - 2017);
- მიმწოდებლების ტრენინგები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში (2014 - 2017);
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საუკეთესო გამოცდილების, ინფორმაციის და მარეგულირებელი წესების გაზიარება, რომელიც მოიცავს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ადგილზე ტრენინგებს/სემინარებს (2014 - 2017).[6]

სამოქმედო გეგმის საჯარო შესყიდვების ნაწილი საკმაოდ ზოგადია და არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას განსახორციელებელი რეფორმების შესახებ; დაზუსტებული არ არის ცალკეულ ღონისძიებათა მოსალოდნელი შედეგები, კონკრეტული სამიზნე ჯგუფები, შესრულების ინდიკატორები და დაფინანსების ოდენობა. ყოველივე ეს კი, ართულებს როგორც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ეფექტიანად შესრულებას, ისე შესრულების მონიტორინგსა და კონკრეტული შედეგების ჯეროვნად შეფასებას.

ამას თან ერთვის ისიც, რომ ზოგიერთი დაგეგმილი ღონისძიება ზედაპირულად არის ფორმულირებული. ამის მაგალითია თანმიმდევრული დაახლოების პრიორიტეტი,

---

[4] DCFTA-ს განხორციელების 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია მისამართზე http://economy.ge/uploads/dcfta/DCFTA_action_plan_GEO.pdf

[5] იგივე.

[6] იგივე.

რომლითაც შეთანხმების 144-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაა დაგეგმილი. საგულისხმოა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების ხსენებული მუხლი 15 პუნქტს მოიცავს.[7] ამის გათვალისწინებით კი, სამოქმედო გეგმაში მითითებული პრიორიტეტი საკმაოდ ზედაპირულია; გაუგებარია, კონკრეტულად რა ცვლილებების განხორციელებას მოითხოვს 144-ე მუხლის პუნქტები და რა ცვლილებები იგეგმება ამ პრიორიტეტის შესასრულებლად სამოქმედო პერიოდში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე პრიორიტეტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებად დასახელებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რაც დადებითია ღონისძიებათა ეფექტიანად კოორდინაციისა და წარმართვის თვალსაზრისით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პრიორიტეტთა გარკვეული ნაწილი სცდება სააგენტოს პირდაპირ კომპეტენციას, გაუგებარია, რატომ არ არის გათვალისწინებული სხვა აღმასრულებელი ორგანოებისა და საქართველოს პარლამენტის მონაწილეობა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა

2015 წლის 26 იანვარს, საქართველოს მთავრობის №59 განკარგულების საფუძველზე დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილთან დაკავშირებულ 2015 წლის სამოქმედო გეგმასაც.

სამოქმედო გეგმა საჯარო შესყიდვების სფეროს ორ პრიორიტეტს მოიცავს: ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის მომზადების დაწყება და მხარეების თანამშრომლობა რეფორმების განხორციელებისთვის მომზადების პროცესში.

ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის მომზადების დაწყება, თავის მხრივ, ორ ღონისძიებას მოიცავს. ესენია:

- სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი და ინსტიტუციური ცვლილებების საჭიროების იდენტიფიცირება;
- ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება და მიღება, რათა მოხდეს საკანონმდებლო დაახლოების იმპლემენტაცია, ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართის XVI-B თანახმად.[8]

პირველი პრიორიტეტის მსგავსად, მეორეც ორ ღონისძიებას ითვალისწინებს. ესენია:

---

[7] ასოცირების შესახებ შეთანხმება. ხელმისაწვდომია მისამართზე http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA_BodyText%20%2810%29.pdf

[8] DCFTA-ს განხორციელების 2015 წლის დეტალური სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია მისამართზე http://economy.ge/uploads/dcfta/DCFTA_National_Action_Plan_2015-Draft_GEO_1.pdf

- ტრენინგები საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებს;
- სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებული მიმწოდებლებისთვის სემინარის ჩატარება.[9]

DCFTA-ს განხორციელების 2014 – 2017 წწ. სამოქმედო გეგმის მსგავსად, 2015 წლის სამოქმედო გეგმის საჯარო შესყიდვების ნაწილიც საკმაოდ ზოგადია და არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ; დაზუსტებული არ არის ცალკეულ ღონისძიებათა მოსალოდნელი შედეგები, სამიზნე ჯგუფები, შესრულების ინდიკატორები და დაფინანსების ოდენობა. დაგეგმილ ღონისძიებათა ამგვარი ბუნდოვანება გაუმართლებელია, რადგანაც წინა სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, აღნიშნული დოკუმენტი ერთწლიან პერიოდზეა გათვლილი და მეტ დეტალიზაციას მოითხოვს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე პრიორიტეტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებად, აქაც მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოა დასახელებული.

DCFTA-ს განხორციელების 2014 – 2017 წწ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ექვსი ღონისძიებიდან სამი, 2015 წლის სამოქმედო გეგმის საჯარო შესყიდვების ნაწილშიც აისახა, ხოლო დანარჩენი სამიდან ორი, სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, დოკუმენტი არ მოიცავს ევროკომისიასთან მოლაპარაკებების განახლებას, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ მოლაპარაკებები 2014 წლის განმავლობაში განახლდა და მისი ხელახლა ასახვის საჭიროება აღარ იდგა. 2015 წლის სამოქმედო გეგმაში ასევე ვერ მოხვდა თანმიმდევრული დაახლოების დაწყება, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ აღნიშნული პრიორიტეტის განხორციელება, DCFTA-ს 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმით, 2016 წლისთვის იგეგმებოდა. გაურკვეველი რჩება, რატომ არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საუკეთესო გამოცდილების, ინფორმაციის და მარეგულირებელი წესების გაზიარება, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ადგილზე ტრენინგებს/სემინარებს მოიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2015 წლიდან სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები კვარტალურად გამოიცემა, სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული ღონისძიებები კვარტალურად არ არის გაწერილი. გეგმების კვარტალური დაყოფის არარსებობა, შეუძლებელს ხდის პროცესის მუდმივ მონიტორინგს. აზრს კარგავს შესრულების ანგარიშების სამთვიანი ვადებით დანაწევრებაც.

უმეტეს შემთხვევაში, დაფინანსების წყაროდ მითითებულია მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბიუჯეტი. რიგ შემთხვევებში კი, დაფინანსების საკითხი ღიაა და დამოკიდებულია დონორის თანადაფინანსებაზე. გეგმებში გაწერილი არ არის დაგეგმილ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო სახსრების ზუსტი ოდენობა, რაც სამოქმედო გეგმის ბუნდოვანების კიდევ ერთი დადასტურებაა.

[9] იგივე.

სამოქმედო გეგმაში შეინიშნება ღონისძიებათა და ასოცირების დღის წესრიგის პრიორიტეტებთან შეუსაბამობა, რაც იმის მაფიქრებელია, რომ სათანადოდ არ არის გააზრებული აღებული ვალდებულებების არსი და მიზნები. ამის მაგალითია, რეფორმების განხორციელებისთვის მომზადების პროცესში მხარეების თანამშრომლობის პრიორიტეტი. ასოცირების დღის წესრიგში აღნიშნულია, რომ ხელმომწერი მხარეები ითანამშრომლებენ საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების შესყიდვების თავისა და შესაბამისი რეფორმების განხორციელებისთვის მომზადების პროცესში. სამოქმედო გეგმის მიხედვით კი, ხსენებული პრიორიტეტი სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტების ტრენინგებსა და დაინტერესებული მიმწოდებლებისთვის სემინარების ჩატარებას ითვალისწინებს. ნათელია რომ შინაარსობრივად, ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება, ასოცირების დღის წესრიგში გათვალისწინებულ თანამშრომლობის ვალდებულებას არ ესადაგება. ამას თან ერთვის ისიც, რომ ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება, 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმაში, დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების პრიორიტეტის ქვეშ არის გათვალისწინებული.

სამოქმედო გეგმების შესრულება

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2014 წლის ანგარიში

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით მომზადდა 2014 წლის ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტის საჯარო შესყიდვების თავი, 2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაწეულ საქმიანობას მიმოიხილავს.

შეფასების მიზნით, ანგარიშში ასახული ღონისძიებები დაჯგუფდა 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმის სამი პრიორიტეტის ქვეშ: ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების დაწყება; თანმიმდევრული დაახლოების დაწყება; დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება.

ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების დაწყება

საანგარიშო წლის განმავლობაში, საკანონმდებლო დაახლოების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, მართვისა და მმართველობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა SIGMA-ს (ევროკავშირისა და OECD-ის ერთობლივი ინიციატივა) ტექნიკური დახმარების ფარგლებში, განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების არსებული სისტემის, პრაქტიკისა და კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზი DCFTA-ს მიერ

გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვების ძირითად სტანდარტებთან და ევროკავშირის შესაბამისობის დირექტივებთან.[10]

როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ევროკომისიასთან ასოცირების შეთანხმების შესაბამის დანართებზე მოლაპარაკებების განახლების საჭიროება შეიქმნა. 2014 წლის 2 დეკემბერს, დანართებთან დაკავშირებით ორმხრივი მოლაპარაკებები განახლდა.[11]

თანმიმდევრული დაახლოების დაწყება

2014 წლის 25 სექტემბერს, საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში საჩივრის წარდგენისა და დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის კუთხით.[12] ამ ცვლილების თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების სისტემაში ატვირთვიდან არაუგვიანეს 15 დღეში.[13]

დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება

2014 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების (სატენდერო კომისიების წევრებისა და აპარატის) გადამზადების მიზნით, შეიქმნა დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული - სასწავლო ცენტრი.[14] საანგარიშო პერიოდში, ცენტრის სასწავლო კურსი გაიარა 60 მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქების მერიებისა და გამგეობების შესყიდვების 92-მა სპეციალისტმა.[15]

2014 წლის მაის-ივნისში, შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოეწყო რეგიონული გასვლითი შეხვედრები.[16] 2014 წლის 19 სექტემბერს, ჩატარდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო შეხვედრა საქართველოში მოქმედ მეწარმეებთან და საქართველოში აკრედიტირებული საკონსულოებისა და საელჩოების სავაჭრო წარმომადგენლებთან. შეხვედრას დაახლოებით 120 მონაწილე დაესწრო.[17] 2014 წლის 14 ნოემბერს, შეხვედრა გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

---

[10] DCFTA-ს განხორციელების 2014 წლის შესრულების ანგარიში. ხელმისაწვდომია მისამართზე http://economy.ge/uploads/dcfta/2014_ANNUAL_REPORT_geo.pdf

[11] იგივე.

[12] იგივე.

[13] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში. ხელმისაწვდომია მისამართზე http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2014-tslis-angarishi-geo.pdf.aspx

[14] DCFTA-ს განხორციელების 2014 წლის შესრულების ანგარიში. ხელმისაწვდომია მისამართზე http://economy.ge/uploads/dcfta/2014_ANNUAL_REPORT_geo.pdf

[15] იგივე.

[16] იგივე.

[17] იგივე.

თანამშრომლებს, სამშენებლო სექტორში მოქმედ კომპანიებსა და შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის.[18]

ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა და გამოსცა მეთოდოლოგიური მითითებები სახელმწიფო შესყიდვების წინამოსამზადებელი ეტაპისთვის:

- შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვასთან დაკავშირებით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- შესყიდვის ობიექტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო.

გამოიცა ხშირად დასმული შეკითხვებისა და პასუხების კრებული და სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტი სააგენტოსა და სასწავლო ცენტრის შესახებ.[19]

მთლიანობაში, 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები მეტწილად ეხმიანება 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს. ყოვლისმომცველ სამოქმედო გეგმაზე მუშაობის დაწყება, ევროკავშირთან მოლაპარაკებების განახლება, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და სასწავლო ცენტრის შექმნა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. გამონაკლისია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ადგილზე ტრენინგები/სემინარები, რომელიც საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა. აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქმედო გეგმაში მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების არარსებობის გამო, გაწეული საქმიანობის რაოდენობრივი შეფასება შეუძლებელია.

ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მომზადდა შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილთან დაკავშირებულ 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშსაც.

ანგარიშში ასახული ღონისძიებები დაჯგუფებულია 2015 წლის სამოქმედო გეგმის ხუთი პრიორიტეტის ქვეშ.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი და ინსტიტუციური ცვლილებების საჭიროების იდენტიფიცირება

[18] იგივე.
[19] იგივე.

საანგარიშო პერიოდში, გრძელდებოდა SIGMA-ს ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდა მარეგულირებელი და ინსტიტუციური ცვლილებების საჭიროებების განსაზღვრა.[20]

განხორციელდა საჯარო შესყიდვების რეგულაციების ორი მნიშვნელოვანი ცვლილება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე, კონკურსების ჩატარება მთლიანად ელექტრონულ პლატფორმაზე გადავიდა და ქვეყნის მასშტაბით გამარტივებული შესყიდვების მოცულობის შემცირება მოხდა.[21]

ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება და მიღება, რათა მოხდეს საკანონმდებლო დაახლოების იმპლემენტაცია, ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართის XVI-B თანახმად

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შეიქმნა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა.[22]

აღნიშნულ დოკუმენტს, დადებითი შეფასება მიეცა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის გაფართოებულ საკომიტეტო მოსმენაზე. სამოქმედო გეგმა წარუდგინეს მსხვილ შემსყიდველ ორგანიზაციებსაც.[23]

ტრენინგები საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებს

საანგარიშო პერიოდში, ცენტრის სასწავლო კურსი გაიარა სახელმწიფო უწყებებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულმა 549 სპეციალისტმა. კონკურსების ახალ ელექტრონულ მოდულზე და მისი ჩატარების პროცედურებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სააგენტომ საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაატარა თბილისის და თბილისთან ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტების, იმერეთისა და აჭარის რეგიონების სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან.[24]

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებული მიმწოდებლებისთვის სემინარის ჩატარება

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში ტრენინგი გაიარა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობით დაინტერესებულმა კერძო სექტორის 38-მა

---

[20] DCFTA-ს განხორციელების 2015 წლის შესრულების ანგარიში. ხელმისაწვდომია მისამართზე http://economy.ge/uploads/dcfta/AA_2015_National_Action_Plan_Report_Matrix_geo_version.pdf

[21] იგივე.

[22] იგივე.

[23] იგივე.

[24] იგივე.

წარმომადგენელმა.[25] ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვებში კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდის მიზნით, შეხვედრები ჩატარდა ქუთაისსა და ბათუმში.[26]

საანგარიშო პერიოდში, ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ გერმანიაში, სადაც შეხვედრები გაიმართა ადგილობრივი ხელისუფლების, წამყვანი იურიდიული კომპანიების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.[27] აღნიშნული ღონისძიება, 2015 წლის სამოქმედო გეგმაში ასახული არ იყო, თუმცა ის გათვალისწინებულია DCFTA-ის განხორციელების 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმაში (სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საუკეთესო გამოცდილების, ინფორმაციის და მარეგულირებელი წესების გაზიარება, რომელიც მოიცავს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ადგილზე ტრენინგებს/სემინარებს (2014 - 2017)). აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ეს ღონისძიება არ განხორციელებულა.

მთლიანობაში, 2015 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები მეტწილად ეხმიანება 2015 წლის და 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმების პრიორიტეტებს. ცალსახად დადებითი მოვლენაა DCFTA-ს საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. 2014 წელთან შედარებით, მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნა სასწავლო ცენტრის კურსდამთავრებულთა რაოდენობაში. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის ნულოვანი მაჩვენებლიდან, კერძო სექტორის სასწავლო ცენტრის კურსით დაინტერესებულ წარმომადგენელთა რაოდენობაში ნომინალური ზრდაა, მთლიანობაში, კურსთამთავრებულთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. სამწუხაროდ, წინა ანგარიშის მსგავსად, შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმაში, შეფასების ინდიკატორების არარსებობის გამო, გაწეული საქმიანობის ზუსტი რაოდენობრივი შეფასება შეუძლებელია.

ვალდებულებების შესრულების ორივე ანგარიში აღწერილობითი ხასიათისაა, რაც მეტწილად იმითაა განპირობებული, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესი ტექნიკური ხასიათისაა. ამის მიუხედავად, მიღწეული შედეგების გაანალიზებისა და მომავალი საჭიროებების დასახვის გარეშე, ძალზედ რთულია შესრულების ანგარიშს ამომწურავი ეწოდოს.

შესრულების ანგარიშებში ასახული არ არის გაწეული საქმიანობის შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმები. ამ მხრივ, გაუმართლებელია ის, რომ საქართველოს პარლამენტი არანაირ მონაწილეობას არ იღებს აღებულ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგში, რაც საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებაა.

[25] იგივე.
[26] იგივე.
[27] იგივე.

დასკვნები და რეკომენდაციები

2016 წლის აპრილის მონაცემებით, საქართველომ მეტწილად შეასრულა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) 2014 - 2017 წლებისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებები. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს. ეს საკითხები, დასკვნების სახით წარმოდგენილია ქვემოთ.

დაგეგმილი ღონისძიებების ბუნდოვანი ფორმულირებები: სამოქმედო გეგმები ბუნდოვნად არის ფორმულირებული, რაც ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, შესრულდა თუ არა კონკრეტული ვალდებულება;

შეფასების ინდიკატორების არარსებობა: სამოქმედო გეგმებში დაზუსტებული არ არის ცალკეულ ღონისძიებათა შეფასების ინდიკატორები, რაც შეუძლებელს ხდის გაწეული საქმიანობის პროგრესის ჯეროვნად შეფასებას;

გეგმების კვარტალური დაყოფის არარსებობა: მიუხედავად იმისა, რომ შესრულების ანგარიშები კვარტალურად გამოიცემა, სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული ღონისძიებები კვარტალურად არ არის გაწერილი. კვარტალური დაყოფის არარსებობა, შეუძლებელს ხდის პროცესის მუდმივ მონიტორინგს. აზრს კარგავს შესრულების ანგარიშების სამთვიან ვადებად დანაწევრებაც;

პრიორიტეტებსა და კონკრეტულ ღონისძიებათა შეუსაბამობა: ზოგიერთ შემთხვევაში, შეინიშნება სამოქმედო გეგმების ღონისძიებათა და ასოცირების დღის წესრიგის პრიორიტეტებთან შეუსაბამობა, რაც იმის მაფიქრებელია, რომ სათანადოდ არ არის გააზრებული აღებული ვალდებულებების მიზნები;

დაფინანსების ზუსტი ოდენობის არარსებობა: უმეტეს შემთხვევაში, დაფინანსების წყაროდ მითითებულია მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბიუჯეტი. რიგ შემთხვევებში კი, დაფინანსების საკითხი ღიაა და დამოკიდებულია დონორის თანადაფინანსებაზე. გეგმებში გაწერილი არ არის დაგეგმილ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო სახსრების ზუსტი ოდენობა, რაც სამოქმედო გეგმის ბუნდოვანების კიდევ ერთი დადასტურებაა.

შესრულების ანგარიშების ტექნიკურობა: აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშები აღწერილობითი ხასიათისაა, რაც იმითაა განპირობებული, რომ შესრულების პროცესი მეტწილად ტექნიკური ხასიათისაა. ამის მიუხედავად, დაუშვებელია შესრულებული საქმიანობის მხოლოდ მშრალად და უკონტექსტოდ წარმოდგენა;

ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება: უკლებლივ ყველა ღონისძიების პასუხისმგებელ უწყებად დასახელებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რაც დადებითია ღონისძიებათა ეფექტიანად კოორდინაციისა და წარმართვის თვალსაზრისით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პრიორიტეტთა გარკვეული ნაწილი სცდება სააგენტოს პირდაპირ კომპეტენციას, გაუგებარია, რატომ არ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მონაწილეობა;

მონიტორინგის მექანიზმების არარსებობა: არ ხდება გაწეული საქმიანობის მონიტორინგი. გაუმართლებელია ის, რომ საქართველოს პარლამენტი არანაირ მონაწილეობას არ იღებს აღებულ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგში.

ყოველივე ამის გათვალიწინებით, კვლევის ანგარიში საჭიროდ მიიჩნევს შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებას:

- სამოქმედო გეგმებში ასახული ღონისძიებები დაზუსტდეს შესაძლებლობისამებრ;
- შემუშავდეს შეფასების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები სამოქმედო გეგმების ყველა პუნქტისათვის;
- შემუშავდეს სამოქმედო გეგმები, სადაც ღონისძიებები კვარტალურად იქნება გაწერილი;
- უზრუნველყოფილ იქნეს სამოქმედო გეგმების ღონისძიებათა შესაბამისობა ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ზოგად მიზნებთან;
- განისაზღვროს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათათვის საჭირო სახსრების ზუსტი ოდენობა;
- ყოველი მომდევნო წლის გეგმა დაეფუძნოს წინა სამოქმედო გეგმების განხორციელების ანალიზს და მოხდეს დაუსრულებელი ამოცანების მომდევნო სამოქმედო გეგმაში გათვალისწინება;
- გადაიდგას ნაბიჯები პროცესის შიგა და გარე მონიტორინგის უნზრუნველსაყოფად.

ავტორი იმედოვნებს, რომ აღნიშნული რეკომენდაციების მხედველობაში მიღება ხელს შეუწყობს, როგორც DCFTA-ს შემდგომი წლების სამოქმედო გეგმების ტექნიკურ და შინაარსობრივ დახვეწას, ისე განხორციელების გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე დასკვნები და რეკომენდაციები სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მხოლოდ ასოცირების შესახებ ხელშეკრულების და შესაბამისი დღის წესრიგის შესრულების თვალთახედვიდან განიხილავს და იგი არ იძლევა სისტემაში არსებული მდგომარეობის სრულფასოვან შეფასებას.

გამოყენებული მასალები

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება. ხელმისაწვდომია მისამართზე http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA_BodyText%20%2810%29.pdf

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი. არაოფიციალური თარგმანი. ხელმისაწვდომია მისამართზე http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf

DCFTA-ს განხორციელების 2014 - 2017 წლების სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია მისამართზე http://economy.ge/uploads/dcfta/DCFTA_action_plan_GEO.pdf

DCFTA-ს განხორციელების 2015 წლის დეტალური სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია მისამართზე http://economy.ge/uploads/dcfta/DCFTA_National_Action_Plan_2015-Draft_GEO_1.pdf

DCFTA-ს განხორციელების 2014 წლის შესრულების ანგარიში. ხელმისაწვდომია მისამართზე http://economy.ge/uploads/dcfta/2014_ANNUAL_REPORT_geo.pdf

DCFTA-ს განხორციელების 2015 წლის შესრულების ანგარიში. ხელმისაწვდომია მისამართზე http://economy.ge/uploads/dcfta/AA_2015_National_Action_Plan_Report_Matrix_geo_version.pdf

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში. ხელმისაწვდომია მისამართზე http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2014-tslis-angarishi-geo.pdf.aspx

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის საქმიანობის ანგარიში. ხელმისაწვდომია მისამართზე http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2015-wlis-angarishi.pdf.aspx